საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება N 882021802417-04 (24.09.2021)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.882021802417; 20 სექ 2021; განმცხადებელი: შპს ლუკა, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზრი, N 59). განცხადებით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია მშენებარე ინდივიდუალურ უძრავ ნივთებზე (პირველადი განშლა) , მდებარე ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხი N4. ნიშნული -8.1, სართული -2, კომერციული (263.7 კვ.მ) (ზონა:თბილისი, სექტორი: გლდანი)

განცხადებაზე თანდართულია:

1. გადაწყვეტილება;
2. განშლა;

სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია მშენებარე ინდივიდუალურ უძრავ ნივთებზე (პირველადი განშლა), მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის ქუჩის I ჩიხი N4 (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.166), სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია შ.პ.ს „ლუკა“-ს გადაწყვეტილება შედგენილი ბრძანების № 5445331(პროექტის შეთანხმების შესახებ) და ბრძანების № 5486666 (მშენებლობის ნებართვა) საფუძველზე, მოგახსენებთ, რომ ბრძანებით № 5445331 შეთანხმებული ტექნიკური-ეკონომიკური მაჩვენებლები და პროექტი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია, კერძოდ საოფისე და საზაფხულო ფართის ნაწილში, საოფისე ფართი შეთანხმებულია 675.6 კვ.მ. პროექტით არის 682.3 კვ.მ. (მინუს 1 სართულზე 237,2კვ.მ.+1სართულზე 222.5 კვ.მ.+2სართულზე 222.6კვ.მ.), საზაფხულო ფართი შეთანხმებულია 313.3 კვ.მ. პროექტის შესაბამისად არის 289.5 კვ.მ.(მინუს 1 სართულზე 21.1 კვ.მ., 2სართულზე 39.1 კვ.მ., 3 სართულზე 35.9 კვ.მ. მე4-ე დან მე-7-ე სართულის ჩათვლით თითოეულ სართულზე 38.5კვ.მ.), არ არის წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ელ. ვერსია, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოსადგენია ერთმანეთთან შესაბამისობაში არსებული ბრძანება და პროექტი, ასევე პროექტთან შესაბამისობაში არსებული ფართების განაწილების დოკუმენტი, წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ელ.ვერსია, რომელზეც დაფიქსირებული იქნება პროექტის შესაბამისი მშენებარე შენობა.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.#2), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.